,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2020 წლის 19 ივნისის №111/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული პროფესორების კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის №74/2020 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

N3 ოქმი

ქ. თბილისი **11 აგვისტო 2020 წელი**

12.30-13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: (1) თსუ ასოცირებული პროფესორი ლუიზა არუთინოვა (კომისიის თავმჯდომარე); (2) თსუ პროფესორი მზია წერეთელი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); (3) თსუ პროფესორი ლალი სურმანიძე (კომისიის წევრი), (4) თსუ ასოცირებული პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი; (5) საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი მანანა გაბაშვილი (კომისიის წევრი).

კომისიის თავმჯდომარემ, ლუიზა არუთინოვამ, კომისიის წევრებს შეატყობინა, რომ სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრება კომისიის მდივანი ია აფთარაშვილი, და, შესაბამისად, საჭიროა ახალი მდივნის არჩევა. კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად დასახელდა ლილი ხეჩუაშვილის კანდიდატურა. კენჭი უყარეს. მომხრე – 5, წინააღმდეგი – 0, თავი შეიკავა – 0.

დაადგინეს: კომისიის მდივნად არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი.

დღის წესრიგი:

,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2020 წლის 19 ივნისის №111/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ასოცირებული პროფესორის ლუიზა არუთინოვასა და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე, გასაუბრებაზე კონკურსანტების გამოსვლის შედეგები.

კომისია გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის, ასევე, კონკურსანტების მონაცემების შედარების ამსახველი ოქმის შინაარსს.

შეფასების ორივე ეტაპის შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტების საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ვლადიმერ გამსახურდიას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.
2. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე თეონა ლოდიას გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.
3. განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე სოფიო თევდორაძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.
4. პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე მარიამ ფანჯიკიძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა - 5, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორების აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის დასრულების დრო: 13.00 საათი.

კომისიის თავმჯდომარე: თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლუიზა არუთინოვა



კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მზია წერეთელი

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ლალი სურმანიძე

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე პროფესორი მანანა გაბაშვილი

კომისიის მდივანი: თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი